თ. 201
1910

[illegible]

იუმორისტული ალმანახი

№ 1.

კ ვ ი რ ა,

31 ოქტომბერი,

1910 წ.

ფასი ყველგან 7 კაპ.

ალმანახი № 1. ფასი ყველგან 7 კაპ.

თავს ვქმით

კვირა, 31 ოქტომბერი, 1910 წელი.

დასაბეჭდი წერილები მიიღება შემდეგი ადრესით: Кутаисъ, Тип. Хеладзе, Ил. Бахтадзе

1182

განცხადება

ქუთაისში ახლად შემდგარი და ახალი ხმოსნების მიერ არჩეული ბიურო ეძებს ქუთაისისთვის თავს. ბიურო მიმართავს პროვინციის მცხოვრებთ, თუ აღმოჩნდეს სათავო კაცი, (ხნით არა ნაკლებ 65 წლისა, (благонадежный), რომ ადმინისტრაციის მხრივ დაბრკოლება არ იქნეს, რომ კინიცობაა დამტკიცებას ხელი არ შეუშალოს,) შეატყობინოს ბიუროს. ჯამაგირი 10,000 ქანქარი წელიწადში..

ადრესი: ქუთაისი. ივანოვის ქუჩა, ნაზაროვის ეზოსთან, სადაც ახალი „ფარანია“, თუ ამ ეზოს ვერ მოაგნოთ გუბერნიასთან შეუხვიეთ.

რედაქციისაგან.

(სარედაქციო აღსარების მაგიერი).

ვერ უღალატებთ საზოგადო ადათს; ახალი ორგანო იბადება. რედაქცია ვალდებულია გაგვაგებინოს თავისი მიმართულება. სიამოვნებით ვასრულებთ მოკლეთ და სხარტულათ. რედაქცია არავის არ მოერიდება, არავის არ დაზოგავს, ზოგს პირდაპირ მწვავეთ უკბენს, ზოგს მიკიბულ-მოკიბულათ გაკენწლავს, ზოგს უწკიპურტებს, და ზოგს უბლიკვებს, ზოგს ნაზათ ყურზე ხელს წაავლებს, ზოგს კი დააგლეჯს. ზოგს ალერსით მოუცაცუნებს, ზოგს ტლანქათ შეასილაქებს. ერთი სიტყვით რედაქცია ეცდება „ღირსმა ღირსისამებრ მომკოს იფქლიც და ღვარძლიც“.

საწკიპურტო საბლიკვო წერილებთან ერთად დაიბეჭდება სერიოზული ხასიათის წერილები და არც ერთ შეკბენილ-შებლიკულ-შესილაკებულ-ყურაწეულთ—უფლება არ ექნება თავი იმართლოს საზოგადოების წინაშე ჟურნალი იუმორისტულია და მასხრობენო. ნუ დაივიწყებენ დევგმირები, რომ მკვეთრ იუმორში გესლია გარეული, ნაღველ სამსალით არის შეზავებული და ვაი მას, ვისაც პირი უყარს და ქუდზე ხელს ივლებს. ასეთ პირს ჩვენი ჟურნალი თუმც ჩუმათ, მაგრამ მაინც „ვაი დედას“ აძახებს. რედაქცია ეცდება მოქმედება გააფართოვოს და ვინც ღირსია მოუმადრიელებელი არავინ დასტოვოს.

რედაქციის მრწამსია:
„საზოგადო მოღვაწეთა განქიქება“.

ქუთაისი.

დრომ, გარემოებამ და პირობებმა გვაიძულა კალამი ხელში აგვეღო და გამოგვეცა „თავს ვქმით“. მართლაც უთავოთ ცხოვრება შეუძლებელია. ქუთაისი კი უთავო ქალაქია. (თავიანი არასოდეს არ ყოფილა, ასოთ-ამწ.)—ძველს არ ნდობილობენ, ახალი არა გვყავს. ვისაც შევევედრეთ ყველამ უარი გვითხრა „ჩვენ არ გვაქვს ქუთაისში გასახმობი თავიო!“ დალახვროს ღმერთმა, ქუთაისის თავობა არავის უნდა! მდგომარეობა საშინელია, ვეძებთ თავს და ვერ გვიპოვია. დალოცვილი ნიკო ნიკოლაძე არ თანხმდება, სანამ ზღვა არ ჩაუვლის ქუთაისს, მანამდე ჩემს

თავობას ვერ ელირსება ქუთაისურებიო! გიორგი გვაზავას, რომ ვთხოვოთ არ დათანხმდება და არ გაემტეუნება! ჰოეტურ ნიჭს ქალაქის თაობას ხომ არ ანაცვალებს; ჰართენ გოთუა გამოსადეგი კაცი იქნებოდა ქუთაისის ქალაქის თავად, მაგრამ როგორც ირკვევა არც მას ცალია, დრამატურგობს, „ჰარტიის კაცი"-ს გაგრძელებას სწერს. ჰდგომარეობა ქალაქის საშინელია, და ამ „განიცადენის" ხანაში გამოდის „თავს ვეძებთ." „თავს ვეძებთ" თავის მოქმედებას მხოლოდ ძაშინ შესწყვეტს, როდესაც თავს ქალაქს უპოვის და მის აწეწილ-დაწეწილ მდგომარეობას ნორმალურ კალაპოტში ჩააყენებს.

---

* * *

აწმყოსაგან კრული გული,
მოიმედე ნათელ სხივის,
აქვითინდა ვით ქალწული
უბედობას მოსთქვამს, ჩივის.

—

ირგვლივ ბნელა... ცა პირშავი
მოღრუბლულა, მოქუშულა,
ქვეყანაც, ვით მომაკვდავი,
გლოვის ჩადრში გახვეულა.

—

ბნელ აწმყოსგან კრული გული
სევდის ნისლით დაბურული;
სანუგეშო ნათელ სხივის
დაბნელებას მოსთქვამს... ჩივის.

გ. ქუჩიშვილი.

ქუთაისის ამბები.

— უთაობა ძალზე ემჩნევა ქუთაისს. წასულ კვირას წვიმიან ამინდში ქალაქის ერთ განაპირა უბანში ტალახში დაიხრჩვა ვირი.

— ხმებია, პეტერბურგიდან ხოლერას დეპეშა გამოუგზავნია ქუთაისის „გლასნებისათვის:" „ისევ მალე გესტუმრებით, ნაგავი ბევრი გაქვთ ქუჩებზე, და მეც მაგის მეტი არაფერი მინდაო!".

— ამბობენ ნიკო ნიკოლაძემ თუ იკისრა ქუთაისის მამობა „საღორიეს" ტყეს ბალათ გადააქცევს; რიონს ტყავს გააძრობს და ქუთათურ მოქალაქეებს შუბათ შეუკერავსო. (კაი საქმეა თქვენ ნუ მომიკვდებით! ას.-ამწ.).

— თუ ქართველებმა ვერ მოინახეს თავი, ჰეშმარიტ-რუსებს (ქუთაისისას) გადუწყვეტიან ისარგებლონ შემთხვევით, და თავათ ქუთაისში მოიწვიონ ცნობილი ქართველთა მოძულე პედაგოგი „კუსტინოვიჩი".

— ქუთაისში ელექტრონს სინათლე დაეკარგა ღამღამობით სრულიად არ ანათებს ამის გამო მოსიარულები ბშირად ეჯახებიან ერთმანეთს და „სკანდალობენ."

ხონის ამბები.

— ბახტაძეების სიძე, ვექილი იაკობ ხინტკირია, პეტერბურგს გაემგზავრა.

— ერთ ხონელ ხუცესს ცხენი დაეკარგა. ამბობენ ცხენის დაკარგვა დიდი საიდუმლობით არის მოცულიო. (თვით ხონელებმა გამოიცონ ეგ საიდუმლეობა, ჩვენ არა გვცალია, თავს ვეძებთ ას.-ამწ.).

— თუ ლაფში არ ჩარჩათ—ნიკო ნიკოლაძე და ივანე შარაშიძე მალე გამოიყვანებენ „პოეზდს" ხონში.

— ხონში მოულოდნელად დაიკარგა ერთი ვაჭრის სიძე. სიძე კარგი 10,000 მან. უჯდა ვაჭარს (ზორბა ზარალია! კორეკტ.).

ბლოკისტები

გაზეთებში ამოიკითხავდით, რომ ბლოკმა მიუხედავათ ყოველ გვარი საარჩევნო ხრიკ-ზომებისა, რომელსაც მიმართა ბანკის პარტიის ბელადებმა,—გაიმარჯვა,—ე. ი. გაიყვანა 34-დე თავისი კანდიდატი. რასაკვირველია, ეს რომ მართალი იყოს, ე. ი., 43 კაციდან, საბჭოში 34 ადგილი პროგრესიული მიმართულების პირებს ეჭიროს და ეს პირები საარჩევნო, „ფონის" 23 №-ში მოთავსებულ, მეთაურის შინაარს ადასტურებდენ თავიანთი მისწრაფებებით, ჩვენ ბედს ძალი არ დაუყეფდა, მაშინ ხომ ნამდვილი გამარჯვება იქნებოდა, ნამდვილი განახლებული საბჭო გვექნებოდა, მაგრამ სამწუხარო და სავალალო ის არის, რომ ის ორი შეკავშირებული ჯგუფი, რომელმაც წინასწარ დაუკითხავათ აჩრელებული ელემენტები სიაში

შეიტანა, —მოტყუილდა. ჯერ ამ პირების უმეტესმა ნაწილმ. არჩევნების დროს შავები უხუხა თითქმის ყველა იმ პირებს, რომელთა, ალბათ, პოლიტიკური ფიზიონომია მათ არ მოსწონდათ, და ამ ნაირად გააშავეს და ნამდვილი ბლოკისტების რაოდენობა არარაობამდი დაიყვანეს, ეს ნათლათ დაგვიმტკიცა არჩევნების შედეგმა და ხმების დიფერენციაციამ; მერე—სამარცხვინო, დამამცირებელი ადრესი შეადგინეს და ნიკოლაძეს დაუჩოქეს: „ქალაქი ჩვენი დიდია, ფულები კასაში თუმცა ცოტა, მაგრამ თქვენ 10,000 მანეთს მოგართმევთ წლიურ ჯამაგირათ, მობრძანდი, გაგვიკეთე არხი, მოაწყვეთ განათება, განათლება, ტრამვაი“... ამავე დროს დეპუტაციის გაგზავნისა და ადრესის შედგენის ინციატორები დრმათ დარწმუნებული იყვნენ, რომ ნიკოლაძე ფოთს არ მიატოვებდა... მაშ რად დასჭირდათ ყველა ესენი, ეს ხრიკები, რად? არჩევნები გაეჭიანურებიათ, ამრჩევლები გამოურკვეველ მდგომარეობაში ჩაეყენებიათ, წყალი აემღვრიათ და შემდეგ ისევე თავისი „პარტნიორი“, თუმცა ხმოსნათ გაშავებული, შემოეპარებიათ: „ვეძიეთ და ვერ ვიპოვეთ უკეთესი თავი, ისევ ძველი ავირჩიოთ!“.. მართლაც დღეს დიდი პუტუნ-პუტუნი ისმის: ავირჩიოთ ისევ დავითი, დროებით, ერთი წლით, მერე ნიკოლაძეც დათანხმდება, როცა პენსიის საქმეს მოიწყობს..

რატომ არ ესმისთ ამ „საზოგადო“ საქმის მესვეურებს, რომ ისინი მცხოვრებთა მიერ დაკისრულ მოვალეობას გვერდს უხვევენ, რისიც არც ზნეობრივი და არც იურიდიული უფლება არა აქვსთ. ძველი თავი ამრჩევლებმა გააშავეს, ხმოსნათ არ გაიყვანეს და ამით მათ, ვისაც ჩააბარეს ქალაქის ბედ-იღბალი, დაავალეს „ეძიეთ თავათ სხვა, უფრო რიგიანი, მშრომელი, მუშაკი, და არა ინვალიდებთან ნარდ-ბანქოს ნაფიცი მოთამაშე. ერთს, ალბათ დაქირავებულს, ან უფრო პირადათ დაინტერესებულ ინვალიდს „ქუთ. ფურცლის“ მთელ გვერდზე ხოტბა შეუსხამს დავითის ძველ მოღვაწეობისათვის, ალბათ საგიტაციო მნიშვნელობით...

ვინ მფარველობდა აბზიანიძის ავლაბრულ ბუხგალტერიას? ვინ ჩააფუჩეჩა გაღატაკებული კასიდან 6000 მანეთის გაფლანგვა? ვინ დააჯილდოვა პენსიით ქურდები? ვინ მიატოვა ბედის ანაბარა ქალაქის თვითმართველობა და სოროში ჩაძვრა 1905 წელს, სწორეთ რევოლიუციის დროს? ვინ მოუწერა ხელი შავ-რაზმულ გეგმას ერობის შკოლის სამინისტრო შკოლებათ გადაკეთების შესახებ? (რაღას ერჩით კუსტსნოვიჩს?) ვინ გამოიჩინა სრული უვიცობა ერობის საკითხის გამორკვევის დროს? ვინ მოითხოვდა 90 წლების დებულების შემოღებას?..

ვისი მეოხებით შეაჩხირეს ქალაქის ერთ შკოლაში ვოსტორგოვ-ენუქიძის აგენტი, მარჯვენა ხელი? პასუხი მისცეს ბ-მა რეკლამის ავტორმა ამ კითხვებზე და მაშინ თვითონ მიხვთება რა საქებია დავითი, დავითისტები და მათი მოღვაწეობა?...

რაც უნდა ის ჯღაბნონ ბნელეთის მოციქულებმა, მე კი კიდევ გავახსენებ და მიუთითებ ხმოსნების ერთ ნაწილს თავიანთ მოვალეობაზე: ეძიონ თავი და არა კვახი... ნუ თუ ნიკოლაძეს გარდა სათავო კაცი არმოიძებნება?.

თ.

პატარა ფელეტონი.

(მ ი წ ე რ-მ ო წ ე რ ა.)

(ქუთაისს და ფოთშუა).

ქ უ თ ა ი ს ი

ქუთაისი ფოთსა მისწერს
„გულამოსკვნილი მტირალი“.

ჩემო ძმაო ფოთო!

გაიგებდი ჩვენს ამბავს; დავრჩით უთავოთ, დაგვითმეთ ნიკოლაძე, თორემ ცუდათ იქნება თქვენი საქმე, მოვდივართ შეიარაღებული.
სულ სხვა და სხვა დავთრებითა
თუ სი-სხლის ღვრას აგვაცილებთ
შევრიგდებით—დავთვრებითა!..

ფ ო თ ი

ფოთმა შეჰკადრა ქუთაისს
„ვანა სხვა თავი არ არის
რა ჩემზე მოიცალეთ!“
თქვენ თუ ვერ მიაგნებთ ძამია მე მიგასწავლო გზაია
ყველა სჯობია ოზურგეთს
წაართვათ ბრძენი პლატონი.

ქ უ თ ა ი ს ი

ის ნუ მოგვიკვდება ძრიელ გულით გვინდოდა, მაგრამ გვითხრეს არ დათანხმდებაო

ილია ქართველიშვილი (ოზურგეთიდგან რომ ყვირილაში გადიყვანეს მაზრის უფროსის თანაშემწეთ.) ყვირილის თოობას შეპირებია ქართველიშვილს, თუ ქუთაისში პოლიცმეისტრობას მისცემენ, მაშინ პლატონიც იკისრებს „გაგალევებას“...

„ნუ მოეძებთ ლობე-ყორესა
და ნუ გვაგზავნი უფრო შორესა.“
—давайте Николадзе!—

ფოთი

„თუ პლატონი არ თანხმდება;
სოხუმისა ნათავარი,
თავდგირიძე ხომ მზად არი!“

სულით და გულით გირჩევთ აირჩიეთ, ძრიელ კარგი კანდიდატი იქნება სოხუმიდგან პირდაპირ რკინის გზით წამოვა, გამოიარს ტყვარჩელში, შეუხვევს ზუგდიდში, გადმოიხრიგინებს ცაიშში, შეუხვევს მარტვილში, გაუვლის კოკინია და გოგი დგებუაძეს, დაუშტვენს ნაოღალევში „გადმოახტება ცხენის წყალს, დაიფშუქებს ხონსუ“ ამოიარს ქვიტირს, დატვირთავს პოეზდს თვის ბოლოკით და კვახით და პირველ კლასში გამოჯგიმული გოჭოურაზე დასცემს დასავლეთის მხრით „სტანციას“. რაგინდა სულო და გულო „რომ თავდგირიძემ პოეზდს არ მოაყოლოს. ბედი კარზე მოგადგათ, არ გაუშვათ ხელიდგან, მე ფოთს, თქვენი ქუთაისის ინტერესები მალაპარაკებს, გეფიცებით კაპარჭინა — პალიასტომს, ნაბადა — ნახუტურს, მალთაყვას და მაიაკს ბუხტს და კვინიხიძის სამიკიტნოს — ქრისტესია ხუმარაძის კოლხიდას რომ თქვენთვის ნიკოლაძეს თავდგირიძე სჯობს.

ნიკოლაძე ზღვის მგელია — ნამდვილი მეკოპრეა (მეკობრე არ იფიქროთ — კობრის მოყვარული, მეკოპრე — пиратъ).

რათ გინდათ ნიკოლაძე — ხომ ვენეციათ აქცია თქვენი კოხტა სავარდო და სამაისო ქალაქი; დაუწყებს რიონს თხრას და შიგ შუა ბულვარდში შეთხრის, შვა-შვაგულ ბულვარდში შეიყვანს მღვრიე მობუტბუტე რიონს, მოსდგება მერმეთ და შემოიღებს საფუთო გადასახადს და რაკი სხვა არაფერი გაქვთ დასაფუთებელი, დაფუთავს ჰორებს, პოდლოგებს და დანოსებს და თითეულ ფუთში რომ ნახევარი კაპეიკი აიღოს, ერთ ცვირაში თქვენს ქონებას სულ მთლათ გამოიმასიქს... რამ გამოგასუნელათ თქვენ ბოთებო, „ბედაურს სჭედდენ და ლვაჭიჭამ ფეხი ეიბზიკაო!“ მეხი კი დაგაყარეთ მაგ გამოპადგებულ თავზე, „ქიდკით“ გაგივსეთ მაგი თქვენი ნატვინარი თავი, ფოთს ეტოლებით?! ჩვენ სულ სხვა ვართ ჩემო ძმაო. ჩვენში ნიკოლაძემ პარახოდის ბოლაზი კი არა ფულის ბოლაზი ალმოაჩინა. ქუთაისში რა უნდა ალმოაჩინოს. ჩვენი ქონება თავისუფალი იყო. თქვენი კი დაგირავებულ-გადაგირავებულ - გადმოგირავებული — დასტრახულ გადასტრახულ-დაბრაკულია. თქვენ რათ გინდებიან ნიკოლაძე, თქვენ ყველაი ნიკოლაძე ხართ, რომ არ დაანებებთ ნიკოლაძეს ნიკოლაძეობას — დაუწყებთ ჩხიკინს, სულ სხვაა ჩვენში, ჩვენს ხმოსანს რომ შეეკითხებიან რას იტყვიო — რასაც ბ-ნი ნიკოლაი იაკობიჩი ბრძანებსო! ქე გვყავს კაცი ბალიალათ და ნურას უკაცრავათ, თუ ატკაზი გითხრათ პატენი.

ქუთაისი

„ფუიოსაო გაჩუმდი ნუ ყბედობ
ნუ წაიგძელე ენაო
თორემ ბოლო დროს ინანებ
ჩაგშხამდეს ეგზომ ლხენაო!“

აბა რას გვირჩევ შავი ზღვისგან წასალეკო, რათ გვინდა თავდგირიძე, ის ხომ ნებლაგონადიოჟნია — ციხეში ნაჯდომი; ის კი არა ოთარ დადიშკელიანმა კალამ თავადობიდგან გამორიცხა „ლევიო“ ამით ჩემო ფოთო ფონს ვერ გახვალ, მოგვეცი ჩვენი იმერელი ნიკოლაძე იმერეთის ქალაქის თავათ.

ფოთი

თუ მაინც და მაინც არ დაგიშლია (მაიმუნობა არ მოგიშლია) „ვიყი ყიყო დიდ ნიკოს ვერ დაგითმობთ და ვაყა ყაყა იონა მოგვირთმევია.*)

თქვენთვის ღმერთმანი ძრიელ კარგი იქნება, თქვენში ძოიელ ბევრია საარხივო სანეკროლოგო მოღვაწეები.

„უკული, უკული, ღოროონთის“ მადლმა ყველას ისეთ ნეკროლოგს დაუწერს, რომ წამკითხველი იტყვის ნეტავი დაბადებამდე მომკვდარიყო.

ქუთაისი (თავისთავს)

„ვაი რა უყო თავსაო
ამ ჩემს უთაო თავსაო,
ნუ გამინტყუნებთ ბეჩავსა
ჩავებღაუჭო ხავსსაო!“

ვარალე.

ქუთათურ ბოგოლების მიმართვა ნიკოსადმი.

ფოთის თავო, ნიკოლაძე!
შენ გვიშველე, მოგვეც შვება,
უბედურნი დავწრიალობთ
რადგან თავი გვენატრება.

დაგვეკარგა, აღარა გვყავს
ვერ მივაგენთ იმას, ვერა,

---

*) ჩემის აზრით ეს „კვალიდგან“ ამონაწერი შეცდომით არის მოყვანილი: ვიყიყივობა იონას უფრო შეშვენის და ვაყაყაყობა ნიკოლაძეს უფრო დაშვენდება.
ას.-ამწ.

და ეხლა-კი შენს ხელთ არის
ქუთათურთა ბედის წერა.
ჩვენ ვერ ვნახეთ ქუთაისში,
კაცი ვინმე თავათ ღირდეს,
თუმცა ვიცით სირცხვილია
თავის შოკნა აქ, რომ სჭირდეს.

ნიკოს პასუხი:

მანდ ვერ ნახეთ—მე მომმართეთ?
სირცხვილია სხვა არ იყოს,
მაგისთ ნა ფშუტ ქალაქში
ვერ იხილავთ „თავათ" ნიკოს.

წკიპურტი.

თავს ვეძებთ.

ბეკრმა დაკარგა თავი, მაგრამ ჩვენ რომ საჯაყი დაგვემართა იმისთანა არ შეიძლება. დავკარგეთ თავი და (მადლობა ღმერთს, თავიცაა და თავიც) ეხლა ვეძებთ თავს, იმას კი არა, რომელიც დავკარგეთ, ღმერთმა დაგვიფაროს, არა, ვეძებთ ნამდვილს, ნაღდ თავს; სანისიაო ძალიან ბევრია, ისე კი ვერ ვნახეთ; ვერა და ვერა; აქეთ ვეცით, იქეთ ვეცით, ამევიღეთ მიხანში ზდანოვიჩი მარა არ გაგვიკარა სიახლოვეს, თქვენს თაობას უთაოთ ვიარო ის მირჩევნიანო. ვითამ გევიფიქრეთ ფან... ფან, ფან, მაგრამ ცხა... ცხა ცხაო, მოგვაძახეს, აქედამ იქედამ, ჩევიკმიდეთ ხმა. მერე ვიფიქრეთ მოდი ფოთს წავართვათ თავი, ან მოვპაროთ, მაგრამ ქურდობაში იმერლები რავა აჯობებდენ მეგრელებს. ვაფრინეთ დეპუტაცია, დაჰკარგეს რეპუტაცია, ნიკოლაძემ უარი გვსტაცა: ფოთელებმა სიცილ ხარხარი მოგვაყარე და დაგვამუნათეს კიდეც: „პატენი ნიკოლაძე თქვენი იყოო და ვერსად მოხმარეთი და ახლა ჩვენ გვართმევთი, ბრანწის თქვენს საქმესი." მე და ჩემა ღმერთმა მართალიცაა კაცო. ქუთაისს როდის ქონდა თავი? ნიკოლაძეს სანამდის ფოთი გაიტაცებდა,—სად ვიყავით?! ახლა პარტიობა გაჩნდა, კენჭის ყრის არ იყოს, და ოღონდ რომელიმე პარტიამ გაიმარჯვოს და ქალაქის თავათ თუ გინდა თავიც არ ქონდეს, სულ ერთია. მოდით ერთი რჩევას მოგცემთ ქალაქის მამებს: შევაერთოთ ფოთი და ქუთაისი და ერთი თავი ვიყოლიოთ. ყოვლად მოუხერხებელია ისევ ვეძიოთ და თუ ვიპოვეთ, ის ოხერი თავი, ხომ კარგი,—თუ არა გლახა თავის ყოლას უთაოთ ვიაროთ ის სჯობია

ფელეტონი.

ორი მოჩვენება.

(პოემა)

I

მარტოკა ვიჯექ გულმოწამლული,
ვერ მახარებდა ტურფა საღამო,
ცის კაბადონი ზურმუხტათ შლილი
მწვანე წალკოტი თვალის საამო,—

ვერც ყვავილთ კონა სურნელოვანი
და ვერც ბულბულის საამო სტვენა...
დამშორდა გრძნობა და აზრ დაკარგულს
დამდუმებოდა ქვასავით ენა...

რა იყო ჩემთვის სიმშვენიერე?
ბუნების კალთა? ცისა ლაჟვარდი?
რა იყო ჩემთვის აწმყო, წარსული?
სიმხიარულე, სევდა და დარდი?

სულ არაფერი!.. ფუჭი სიტყვები!..
ვილაც მოცლილის გამონაგონი...
უშინაარსო ხმები მხოლოთ ღა,
ჭკვიანისათვის არ გასაგონი...

უსულ უგულო მანქანათ ქცეულს
ველარ მატკბობდა მე არე-მარე,
ვერც ვარსკვლავთ კრთოლვა, ნელი ციმციმი
ვერც ბადრი მთვარე პირ მოცინარე...

ტყვილათ ლამობდა რუ მოლუკლუკე
გულს მიმწვდებოდა, რო მეგრძნო რამე...
არც მთვარე ჩემ ვის, არც ვარსკვლავები...
მე ვიყავ მაშინ თვით ბნელი ღამე...

გაურკვეველი შავი, უსაზღვრო
ბნელით, წყვდიადით გარემოცული
შთანთქმელი ნათლის, მომსპობი სხივის
შავათ ნაქსოვი, კუპრით მორთული...

რწმენა დაკარგულს და უიმედოს
საღლაც გამიქრა აზრი ცხოველი
და სასოკვეთილს ბრძოლისა შემდეგ
უხმოდ დამეშო ხმლიანი ხელი. .

ეჭვმა შემიპყრო... ვსთქვათ თუ რა არის
ჩემი მიზანი და იდეალი?..
რისთვის ვღვრი მე სისხლს და რისთვის [ვცდილობ,
რომ გავაჩინო ცეცხლისა ალი.

რათა ამოვწვა ქურუმთა ტახტი
აღმოვფხრა ქვეყნათ ბოროტი ძალა,
თაფლათ ვაქციო უხვათ ნანთხევი
წუთისოფელში მწარე სამსალა...

—

მე კითხვით ვექეც მაშინ სამყაროს
პასუხი ვსთხოვე მთა-ბარს, მინდორველს...
კითხვით მივმართე უსულოთ, მეტყველთ
ბუნებას ტურფას, ჩემს გამჩენს, მშობელს...

ვითამ სჯობია? ნუ თუ აქ, ვერ მოვძებნით, რომ ვეძიოთ.

ბასილიკა.

ნეტა მე რა მემართება?

(ლექსიებური)

თქვენ თავს ეძებთ მეგობარნო,
მე კი მუზა მენატრება;
ყველა ლექსს სწერს, ყველა მღერის
ნეტავ მე რა მემართება?

რაკი ყველა გაპოეტდა,
ყველამ იწყო ჩანგის ჟღერა,
მგონია რომ ადვილია
და მეც ვიწყე ძმაო წერა.

მაგრამ, დახე, აღარ ვმალავ
მოკუზული ჩემი მუზა,
შემიმოწმეს, ასე მითხრეს:
ნუ სწუხდები ჩემო მუშა.

თქვენ თავს ეძებთ მეგობარნო
მე კი მუზა მენატრება,
ყველა მღერის, ყველა ლექსს სწერს
ნეტა მე რა მემართება?

ასკანელი პროკოფია.

ილიას საღამო ქუთაისში.

27 ოქტომბერს ადგილობრივ თეატრში, წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილებამ გაართა ჩვეულებრივი საღამო უგვანი მგონნის ილიას მატიკსიგმათ. სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ ქუთაისში ეს საღამო ასეთი უნაკლული პროგრამით ვერ არ შესრულებულა. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე **ვაჟა-ფშაველამ.** როდესაც ბ. **ვაჟა-ფშაველამ** მიმართა ილიას კარდ-უკვალებში მორთულ სურათს გრძნობით ადსავსე ლექსით, ერთ მანდილოსანს გულის სიღრმიდან ამოსთა ქვითინი და ცხარე ცრემლებით რწყავდა თეატრის იატაკს საღამოს დამთავრებამდე! კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ახალგაზდა მგოსანმა **გრიშაშვილმაც** თავის შესანიშნავი რომანსებით. მშვენიერად შეასრულა მომღერალმა **კავსაძემ** „მთაო გადმიშვი“ და „ურმული“. დადებული სურათი იყო, როდესაც უცერად წვდიადმა მოიცვა სცენა და თავისებური სიმშვენიერით კაისმა **კავსაძის** წყნარი და გრძნობათა ამაღლებელი მშვენიერი ხმა! ბერეთ-ნელად უნდა მოგახსენოთ, რომ ამ შთაბეჭდი-

---

და რა მივიღე პასუხათ მათგან?
მხოლოდ დუმილი, დუმილი მწარე...
და მეც ჩავფიქრდი, დავეძვდი მაშინ
ბრძოლით ნაისრი და გულ-წუხარე.

გაქრა დიადი აზრი და რწმენა
თან გზაც მომესპო წინ მიმავალი...
დაკარგე ღუზა მჩქეფარ ტალღებში
გალოდდა გრძნობა, დაბრმავდა თვალი...

ირგვლივ კი ისევ მთვარე ანათებს,
რუ მიჩხრიალებს და ყეფს ბულბული.
ვის ესმის ჩემი სულის კვეთები?
ვის ესმის რას გრძნობს ეს ჩემი გული?..

დუმდა ძირს მიწა... ხმა არ იღებდა,
ზეცაც ენოთ თავს დამყურებდა,
ნამიც თავისებრ დაუზოგველათ
ზურმუხტის წვეთებს დაჰპკურებდა..

თითქოს მე მათი მშვენება მსურდა
და არა სიტყვა, პასუხი კითხვის?..
მაგრამ რას ვამბობ, ზეცა ან მიწა
განაოდესმე კრინტს დასძრავს, იტყვის?..

II

უცებ დაბნელდა, მიწა დაშავდა,
ძაძით მოირთო ძირს არე-მარე,
შუქურმან პირი მიწას არიდა,
სადღაც ჩაეშო ფერმკრთალი მთვარე...

გამეფდა ქვეყნად კუპრი სიბნელე,
შავმა წყვდიადმა დაისადგურა,
გაქრა მშვენება თვალის წარმტაცი
და სილამაზემ სადღაც გასცურა...

მეც ეს მინდოდა.. მიამა რაკი
ჩემებრ მოირთო მთელი ქვეყანა,
რაკი გაისმა ყველას სასმენად
ჩემი მტანჯავი, მჩხვლეტელი ნანა...

ვსთქვი რომ ეს იყო ჩემი ოცნება,
რო დამჯდარიყო ტახტზე ბნელეთი
და მისს კალთებში სისხლით ცოლილიყო
კაცთა სამეფო. მთელი ხმელეთი, —

რათა მეც მათთან წყნარათ სამარეს
ჩავსვენებულყავ შავათ გათხრილში
და შვება-ლხენა მეპოვა უფსკრულს
სიცოცხლის მომსპობ სამუდმო ძილში..

და აი კიდეც გაჩნდა ნანატრი,
მოვიდა ისა, ვისაც ველოდი,
თან დამანახვა შავი სამარე,
ზედ დასადები ვეება ლოდი...

თან ასე მითხრა: „მოისვენეო,
გეყოფა ქვეყნათ რაც იტანჯევი...
წყევა და კრულვა უძღვენ სიცოცხლეს
და მოქანცულმა უკან მომყევი...

წამოდი, ნახე ჩემი სამთავრო
ბნელათ ნაქარგი, შავად ფენილი,

ღელვას, რომელიც ჩვენზე მოახდინა **კავსაძემ**, ვერასოდეს ვერ დავივიწყებ იმის და მიუხედავად რომ მის მომხიბვლელობას მომენტიც ხელს უწყობდა... კარგად მღერეს ქ-ნმა შარაბიძისამ და დებმა იმშნელებმა. ადგილობრივმა არტისტებმა წარმოადგინეს სცენისათვის გადმოკეთებული ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი. წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა. საღამოს ხალხი იმდენი დაესწრო, რომ თეატრის პატარა შენობაში ძლივს ეტეოდა.

დიდებული ადამიანი იყო ილია ჩვენი ქვეყნისთვის და დარწმუნებული ვარ, ქართველები შესძლებენ მის ღირსეულად დაფასებას...

დასასრულ არ შემიძლია დიდი მადლობა არ ვუძღვნა საღამოს მ·მწყობთ მოვალეობის პირნათლად შესრულებისთვის.*)

Yolodia.

---

*) არ ვეთანხმებით ავტორს, რომ ილიას პატივსაცემად გამართულ საღამო თითქო უნაკლულო იყო.
რედაქცია.

ვინ რა ინატრა.

ქუთაისმა—თავი
მსახიობებმა—კომშის მოსპობა.
მოსწავლე ვაჟებმა—„დუშკა“ ერემოს აღლანი.
„ფონმა“—დაშრობა.
„ვარსკვლავმა“—ჩაქრობა
„ჰინკამ“—გიორგობისთვე.
„Кутаисскій листок“-მა—ფასიანი განცხადებები.

შეჩვენებული.

ნატვრა.

გაშავებულ „ღლასნის“ ნატვრა.

ნეტავი რამე მაქცია
ღლასნათა გადამაქცია,
ნიკოლაძის სწავლა მომცა
„ღოლოვათ“ გადამაქცია.

ერთ სავაჭრო სახლის პატრონებს ქუთაისში დაუწერიათ „კანონი“ და ფიცი მიუციათ ერთმანეთისათვის ძმებს, რომ თუ არ კანონის ძალით, ისე თავთავიანთ ჯიბიდამ ფულის ამოღებას ვერ გაბედავენ. რო-

---

მონახე ბინა მის შავ ველებში,
წამო მიგიძღვი, ხედავ, სიკვდილი!..
ნეტავ იცოდე რა სამყოფია
ჩემი სამეფო ბნელი წყვდიადი...
სინათლის ნასახს იქ ველარ ნახავ
არ შეგაწუხებს იქ განთიადი...
ზიხარ ბნელეთში სულ მარტოთ-მარტო,
თავი არ ფიქრობს, არ გიცემს გული,
არ იცი რაა ვნებათა ღელვა,
არ იცი რაა იქ სიყვარული...
ველარ განიცდი აზრთ აღტყინებას,
ოცნების ფრთებზე ჰაერში ფრენას,
ველარც კი დასძრავ, რომ გსურდეს კიდეც
კაცის დამღუპველ მაგ ბოროტ ენას...
არ იცი რაა იქ სევდა, ბოღმა,
არ იცი რაა წუხილი, დარდი...
იქ აღარ ყვავის ია, ენძელა,
არ იფურჩქნება წითელი ვარდი,
რომელიც ვნებას აგითამაშებს,
გრძნობის აგიშლის და აგაღელვებს,
ვითომ დიად აზრს, ცხოვრების მიზანს
შენს შესახედათ გაანათ-ელვებს,
გაფიქრებინებს, რომ ხარ უძლევი,
ქვეყნის ბატონი, მისი მპყრობელი,
რომ შენ გეკუთვნის კაცთა სამეფო:
ზღვა და ხმელეთი მინდორ-ტყე-ველი,
მარა ამავ დროს ჩუმათ დაგშხამავს,
გულს ჩაგიწვეთებს მწვავე სამსალას
სასო წარკვეთილს ულვთოთ გაგწირავს
წაგართმევს გრძნობას, წაგართმევს ძალას...
მოუყვილებული ცრემლებს გადმოყრი,
გულს აღმოხდება გმინვა საზარი
და შეგძულდება თავი, სიცოცხლე,
მოგენატრება გლოვისა ზარი...
არა ჰაბუკო, იქ ეს არ არის:
ჩემი სამეფო წყნარია, მშვიდი,
სიმართლით სავსე, ტყუილის არ მთქმელი
და მოყვარული არ გრძნობს დიდი...
ოხ, რა კარგია შენ რომ იცოდე,
როცა არას გრძნობ, არ ფიქრობს თავი,
აღარ გაწუხებს უსამართლობა,
აღარც კეთილი და აღარც ავი...
რაა არ იცი ფიქრი უმიზნო
იცი ვინა ხარ, რასა გრძნობ სული,
იცი წარსული, თან მომავალი
აღარა გიძრავს უქმოდ შენ გული...
წამოდი ყრმაო, რაღა ჯობია
მუდამ განცხრომას და მოსვენებას...
გამომყევ მალე, იქ მოისვენებ,
ნუღარ ყოყმანობ, დამყევი ნებას...

(დასასრული იქნება.)

ვ. მალაქიაშვილი.

დესაც დახმარება სთხოვა ერთმა პირმა შემოუთვალეს „ჩვენ კანონათ გვაქვს. რომ არავის არავითარი ხელის გამართვა არ გაუწიოთო“— მთხოვნელმა უპასუხა: არ ვიცოდი, თუ თქვენ კანონისაგან იყავით გაჩენილნი, მე კი კანონები ადამიანისაგან მეგონა გაჩენილი და ბოდიშს ვიხდი შეგაწუხეთო.

ბასილიკა.

ნოქართ ცხოვრებიდან.

ქუთაისში დაარსდა „ნოქართ მეზუონე-მედოლეთა ჯგუფი“, ჯგუფი დიდ აგიტაციას ეწევა დანარჩენ ნოქრებში ჩაეწერონ მათთან. ჯგუფის მიზანია ახალგაზდა ყმაწვილებს და ქალებს თხოვა-გათხოვება გაუადვილოს „ქორწილებში“ ზურნის უფასო დაკვრით. (ვაი რავა წავხდით! ას. ამწ.)—

ვახანელი.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენს პატივცემულ ალმანახში მოათავსეთ შემდეგი: 15 დღის წინათ შევედი ხონის საერთო-ერთო ნდობის საზოგადოების კანტორაში და ამ საზოგადოების თავმჯდომარე ბ-ონ მათე ბახტაძ ს ვთხოვე ეცნობებინა რა შედეგი მოიტანა ჩემმა თხოვნამ (ვთხოვილობდი ამხანაგობას). პასუხად ბ-მა ბახტაძემ უშვერი სიტყვებით გამლანძღა და გამომაგდო კანტორიდან, ეხ არ მაკმარა, მიჩივლა და სამი დღე საპყრობილეში ჩამსვა. ბახტაძეს გაუგზავნე პატივცემული ექიმი კიკალიშვილი, მასწავლებელი ლავრენტი ჩიმაკაძე და ვთხოვე ჩვენს შორის ატეხილ დავის გამოსარკვევად გამომყოლოდა სამედიატორო სამართალში, მან სამართალზე უარი განაცხადა; მე ერთხელ კიდევ ვაძლევ წინადადებას ბ. ბახტაძეს გამოვყვეს სამართ ლში; თუმც ბახტაძე ჩემს წინადადებას არ შეიწყნარებს მით აშკარა ყოფს თვის დანაშაულობას ჩემს წინაშე

აკაკი სიმონიძე.

ალმანახის ფოსტა.

ქუთაისი. ნ ო ქ ა რ ს. ვეცდებით თქვენი წერილი ქუთაისის ვაპრებზე მოვათავსოთ შემდეგ ნომერში.

ხონი. ბ ო ლ ო ქ ა ნ ქ ა ლ ა ს. თქვენი წერილი „მეკუდე“ ქალზე, ამხანაგობის გამგე კოლია ცაგარეიშვილზე და ისიდორე სვანაძეზე მოთავსებული იქნება მომავალ ნომ რში. წუხართ „ვინ დაიკვა ნესტორ წერეთლის ალაგიო!“ რა უყო-, დროს ბრალია! ნუ ჯავრობთ!

ჭიათურა დ ა კ ა რ გ უ ლ ს. მართლა დაკარგულხარ თუ ქალების გონებას მიყავ ხელი. რა ჩვენი საქმეა ნინამ რა ქნა! თუმც თქვენ შურის თვალით შეყურებთ ნინას სხვებთან არშიყობას სიტყვიერათ ურჩიე სხვებს თავი დაანებოს და მარტო თქვენ გეარშიყოს. წერილს ვერ ვბეჭდავთ.

ქუთაისი. დ ა უ დ ე გ ა რ ს. „მოსწავლე ქალის ნატვრას“ ვერ ვბეჭდავთ. უთქვენოთაც იცის საზოგადოებამ, რომ მოსწავლე ქალი მოსწავლე ყმაწვილს ეტრფის. ამბა დაუდეგარს ადამინებს რომ დაუწყოს ტრფობა რა ხეირი გამოვა.

გამომცემელი ილ. ბახტაძე.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

სავაჭრო სახლი

ქ უ თ ა ი ს შ ი

ბ. ხ. ყუფარაძის, თ. ნ. გაგუას და ე. თ. ჯაკობიასი

აცხადებს ბროვინციელ (დაბა-სოფლის) მოვაჭრეთა საყურადღებოთ, რომ მათთან იყიდება დაკლებულ, ხელ-მ ს.წდომ ფასებში ბ ა რ ტ ი ო ბ ი თ

ყოველგვარი გალანტერეინი საქონლები და ფეხსაცმელები.

ძმ. ოცხელის შენობაში (კარანცოვის ქ.).

2—1

გამოცდილი
მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი

ამზადებს ქალ-ვაჟთ გიმნაზიების, რეალურ და საქალაქო სასწავლებლისათვის ხელ მისაწდომ ფასებში. აგრეთვე იყვანს მოსწავლეთ გასაწვრთნელათ (репетируетъ). ადრესი: ინჟინრის ქუჩის პირველი გადასახვევი №10 ი. ხეთერელის სახლი.

3—1

Типографія І. Хеладзе, въ Кутаисѣ.

a 201
1910